ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3707675

ნომერი: AR1561315

თარიღი : 29.11.2017

გაცემის თარიღი : 29.11.2017

გაცნობის თარიღი : 29.11.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპირო , და კოსტავას I შესახვევს შორის ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ სახვაძე პ/ნ 01001024444
- თბილისი, მანაგაძის 8

ორგანიზაცია:
- შპს "დემარში" კოდი: 400158743

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის,"კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 29 ნოემბრის AR1561315 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და კოსტავას I შესახვევს შორის არსებული "ლაგუნა ვერე"-ს სახურავზე სარეკლამო ბანერის განთავსების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გამოვლინდა ხარვეზები, კერძოდ:
1. მოთხოვნის ტექსტში დაზუსტდეს ხდება მხოლოდ სარეკლამო კონსტრუქციის განთავსება, თუ სარეკლამო აბრის მოწყობა. იმ შემთხვევაში, თუ ეწყობა სარეკლამო აბრა, წარმოდგენილი იქნას შესაბამისი ფოტომონტაჟი;
2.არ არის წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა დღეის მდგომარეობით სხვადასხვა ხედიდან და შესაბამისი ფოტომონტაჟები;
3. დამატებით წარმოდგენილი იქნეს ფოტომონტაჟი სარეკლამო ბანერის ჩამაგრების ჩვენებით და საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციული დასკვნა;
4. ფოტომონტაჟზე დაცული უნდა იქნეს სარეკლამო ბანერის პროპორციები;
5. საჭიროა წარმოდგენილი იქნეს სახურავისა და სარეკლამო ბანერის ზედაპირის ფართობის პროცენტული გაანგარიშება. გათვალისწინებული უნდა იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14–39 დადგენილებით განსაზღვრული ნორმები, კერძოდ: "საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის
20%-ს".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.